

რედაქცია: სოლოლაკზე, ბ. დის ქუჩაზე, მედიკინის სკოლაში, № 43

ხელის-მომწერა: მიიღება კანტონ-რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тип. лисъ. ВЪ редакцію газ. „Д р о з б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლის—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორგანოს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. უსანი განცხადებები: ყოველ კვირას ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციცილოთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხუთი თვის ხელის-მომწერა

„დროებაზე“

პირველი აბონიტორად ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მედიკინის სკოლაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ხუთი თვის გაზეთისა—4 მან. შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Тип. лисъ. ВЪ редакцію газетъ „Д р о з б а“.

ცალკე ნომერი

„დროებისა“ იხილეთ:

ვართანოვის წიგნის მალაზიაში (ძუკის ხილზე, მიწოვევის შენობაში)

ბრიჭუროვის წიგნის მალაზიაში (ძუკის ხილთან, ზუბალოვის სახლში)

„სულთანის“ თამბაქოს მალაზიაში (სულის ქვეშ).

„ქარდნანის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)

აზნაუროვის თამბაქოს მალაზიაში (ბუღაზზე)

ბრიგოლოვის მალაზიაში („ძაგა-ზის სასტუმრის ქვეშ, მიწოვევის სახლში).

ჯიმშუროვის თამბაქოს მალაზიაში (ძუკის ხილზე).

ქუთაისში—სვ. ჩოხახიძისთან (ბაზრის სტამბაში).

ღვთისმშობლის დღესასწაულის გამო, შემდგომი ნომერი „დროებისა“ ოთხგანობით. 17-ს აბონიტორს გამოვა.

ოქმის აგებები

აზიის ბაქოლის ველიდა

„ბირშის სააგენტო“ გვატყობინებს ძიურუქ-ღარადამ მიღებულს, შემდეგს ამბავს მუხთარ-ფაშის ჯარების რაოდენობაზე: მუხთარ-ფაშის არმია შესდგება! 11 ბატალიონის ნიზამებიდამ, 25 ბატ. არაბისტანიდამ მოსული რედიჭებიდამ, 35 მთისა და მინდერის ზარბაზნები, 6 ესკანდრონი რეგულიარული ცხენოსანი ჯარი და 35 ათასი კაცი კიდევ ცხენოსანი ჯარი ჩერქეზების, ქურთების ზაფთიების და ბაშიბუზუქებისა.

— „რეიტერის სააგენტოს“ სწერენ სტამბოლიდამ: მუხთარ-ფაშასგან, 27 ივლისს შემდეგი ტელეგრამა მოუვიდა პორტას: დღეს შერეული ბრიგადა ორის არტილერიის ბატარეითი, რომელიც რუსის ბოლდირაფანაში მყოფი ბანაკიდამ გამოვიდნენ და, გარდა ამისა, კიდევ ერთი კალონა, იერიშით მივიდნენ ოს-

მალოს ჯარზე, რომელიც ბაშკადეკლართან იყვნენ გამაგრებულნი, ამ დროსაც მესამე კალონა ს. ანისკენ დაინძრა. ჩვენმა მარცხენა ფლანგმა, მდებარე-ფაშის წინამძღოლობით გაუძლო იერიშს სუბოტანის და ბაულიავერდის შუა. ში-ცხელს შეტაკების შემდეგ, მტერი იძულებული იყო, უქან დაეხია, ღამით ახალი ძალა მოემატათ: ხუთი პოლკი ცხენოსანი ჯარისა და არტილერიის ერთი ბატარეაც და კიდევ მოვიდნენ იერიშით, მაგრამ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარის ბრიგადამ შეკმედ-ფაშის და საეჭეტ-ფაშის წინამძღოლობით, მტერი ისევ თავის ბანაკისკენ გააბრუნა.

— მუხთარ-ფაშის მეორე ტელეგრამმა, 29 ივლისს, გვაცნობებს, რომ იზმაილ-ჭაკვი-ფაშას ჯერ კიდევ ზარიგლაში აქვს თავის ჯარების ბანაკი. „ეს ბანაკი რუსეთის ტერიტორიაზედ იმყოფება (?)“ — იწერება მუხთარ-ფაშა.

— თფილისადამ ვენის გაზეთს „Presse“-ას სწერენ, 31 ივლისს, რომ—რაკი აფხაზეთში აჯანყება დამშვიდდა, რუსის სამხედრო მართებლობას იქაური ჯარები სომხეთისაკენ ომის ველზე მიჰყავსო.

ფელტონი

იმერეთ—სამეგრელოდამ *)

— ბუნება. ამინდი.—მოსავალი და „წახავალი.“ — ოპორი.—საჯავახო.—სამი შკოლა.

(დასასრული)

მართლა სიტყვამ მოიტანა.. როგორც მართლ-ძანეთის, იმერეთ-სამეგრელოს სოფლებშიც მრავლდება სახალხო საწავლებლები. საცა გაიხედავთ—შკოლა.. მაიგო ხალხმა იმის სარგებლობა. არ ზოგავს ხარჯს, ოღონდ ისწავლონ იმათ შეილებმა... თუმცა, როგორც ყოველივე ახლად დაწყებული საქმე, აქაური შკოლების განწყობილობაც ვერ არის რიგიანი, შედარებით მართლ-ძანეთის შკოლებთან, მაგრამ, იმედია, თან და თან სიკეთეში წავა... ამ

თვის პირველ რიგებში მე შემთხვევით მომიხდა ნახვა სამი შკოლისა. თუ ნება მომცემთ ორიოდ სიტყვით გარდმოგცემთ ამ შკოლებზედ მცირე რაიმეს ახალ-სენაკის სასოფლო შკოლა არის ხის-შეღესილ სახლებში, იმ ალაგას, სადაც სასოფლო სასამართლო და, მაშასადამე, მუდამ დღე ხალხის დაურულელებელი ყაყანი და ღანძღვა-გინებაა. და როცა მე ვნახე ეს შკოლა, იქ აუარებელი ჯარი იდგა, დაენტოთ ცეცხლი შკოლის ნახევრათ დანგრეულ ბალკონის წინ და ქვაბებს აშიშინებდნენ, იქით კიდევ ცხენები და ხარკამბეჩები დამწკრიბულიყვნენ ყარაულებსავით... შედგამთ თუ არა ფეხს ამ შკოლის კარებში, პირველათვე დაინახეთ მასწავლებლის რბილ ბალიშიან დიდ კრესლას და მაღალ გალაქულ სტოლს, რომლებიც ნება უნებურათ მიგიტყუილებენ და

ერთს გადაკოტრიალებს სურვილის გამოიჩინენ. როცა დაბრძანდებით და იქით მიიხედავთ, დაინახეთ საბრალო და საშწუნარო შეხედულობის ხუთ ძელები-საგან გამოთლილ გაჭიყვლებულ სტოლებს, თავის განუმორებელ ორი თითის დადების სიგანე სკამებით. (სტოლის უჯრები ისე პატარაები არიან, რომ მოინდომოთ ბელურას ვერ შეაძკრენტ). შემდეგ დაინახეთ ხელისგულის ოდენა დასატრიალებელ კლასის ფიცარს, რომელიც უფრო ფირფიტას ჰგავს, მინამ საწერ ფიცარს,—და ცარიელ-ცარიელ ოთხ კედლებს, რომლებშიაც გამოჭიმულან ვენებრთელა კაცის სიმაღლე რვა ფანჯრები. პირველ შეხედვაზედვე იტყვით უთუოდ: „უჰ, აქ სამთარში რა გააძლებიბიბებს ხორც შესხმულ ადამიანსაო“. მასწავლებლის სტოლს რომ კარს ახდით იპოვნით გაუგებელ, შავთ დაბლაჯნულ

*) „დროება“ № 120

— მართი უმთავრესი მოთავეთაგან ამ აუ-
საზების აჯანყებისა, დეამბუჯაზოვი (?)
დახვრიტეს. მსმალოს ირრეგულიარუ-
ლი ჯარები ბაიანეთიდან შიზილკალაში
და ძიუნჯაში დაბანაკდნენ, რომელთაც
იგდირის სიახლოვეს, რუსეთის ტერიტო-
რიაზე, იმყოფებია.

მკუქიდან სწერენ 1 აგვისტოს „გი-
რის სააგენტოს“: ბენ. მგლობჯიოს მა-
ლე ინგურის ატრიადში მოვლიან.
მს ატრიადი მერკულკაში არის
დაბანაკებული. მსმალოები აუბა-
ზების ჯარებს ბათუმში აგზავნიან და
იმათ მავიერ, ღერვის-უაშის წინამძღო-
მლობით, აქეთკენ რეგულიარულს ჯარებს
აგზავნიან.

სპრმანის ბრძოლის ველიდან

ნემენსტურს გაზეთში „Deut. Zeit.“ სწე-
რენ ბელიდან: რუსებს დაჭერილი აქეთ
დასავლეთი მხარე ნიკოპოლის, ბულგა-
რენის და პარტინის მიყოლებდა. წინა
ჯარები კი რასაკვირველია ერთობ წინ
არიან წაწეულნი. აღმოსავლეთით ამათ
ლომისაკენ მიმავალი გზა უჭირავთ. ჯა-
რები მხნეთ არიან.

— ბენის გაზეთში „N. F. P.“ 30 ივ-
ლისს იწერებია ჩაუშკი—მახალიდან,
სადაც მოამქმედი არმიის სარდლის ბანა-
კია: 25 ივლისიდან უმთავრესი კვარტი-
რა აქ იმყოფება. დიდმა მთავარმა, და-
ათვალთერა-რა ჩენი ჯარებისაგან მო-
კავებული პოზიციები, ბრძანა, რომ შეს-
დგომოდნენ აღნიშნულს ალაგას
მთელი ჯარების შემოკრეფას, რომელი
ბრძანებაც, უეჭველია, აქამდისინ სისრუ-

გაკვეთილების დაწყობილობას. აბრძან-
დით და წამობრძანდით ს. სავაჭარაში.
აქაური შკოლაც ხის სახლებშია. შკო-
ლის ეზო სავსეა სხვა და სხვა მშენი-
ერი ჯიშის ანწლ—ქურჩუმელებით და სხ-
ვა ხეხილებით. ახლა შკოლაში წამომ-
ყვით. აქ კლასის ფიცარი სრულიადაც
არ მოპგონებიათ და სტოლებს რომ შე-
ხედოთ, გარწმუნებ, მკითხველო, რაც
უნდა ცუდუენებაზე იყვე, ერთი საშინ-
ლათ გაგვიცინებთ. არ ნახულა ამითა-
ნა არაფერი. სტოლებს სიახლოვეს არ
მოიპაროთ და ხელი არ ახლოთ, თორენ
ე იი ისეთი დაბარბაცდება და ხელიდან
გამოგისნლტებათ, რომ კისერს მოიტყბთ.
მერ წარმოვიდგინე—როგორ სხდებიან,
ან სად ინახვენ სასწავლ ნიეთებს (თუ
აქესთ) შავირდები უ. მასწავლებლს,
რომ გაუხუმრე, კარგ ალაგას გაქესთ
შკოლა მეთქი, პასუხათ მომცა: „ღიან,

ლეში არის კიდევ მოყვანილი. პლენვა
და ბელასაკენ ამ ჟამად ასი ათასი კაცი
არის დაბანაკებული, რომლებთა შო-
რის რუმინის და ერთიც ტრნოვადამ
მოსული დივიზიები იმყოფებია. ღანარ-
ჩენს ახალს ჯარს ზემნიცილამ მოვლიან.
მსმალოს ჯარები კი შემდეგ ადგილებ-
ში არიან დაბანაკებულნი: სეტოვაში
ბოვიჩისკენ მიმავალს გზაზედ, ლოგოდ-
ში, შუშენიციში, რადიშჩეოვიში, ბრავიცი-
ში, შრბიციში, ძალისოვიში და ბრესლან-
ში; წინა ატრიადი კი პლენვიდან ოცს
ვერსზე წინ არიან ნიკოპოლის გზაზედ.
მარჯვენა ფლანგს ისევ ლოგო უჭირავს.
რუმინის წინა ოტრიადები მახოლის
ხეობაშიდ არიან დაბანაკებულნი. ამბო-
ბენ, რომ მსმან-ფაშას, რუსის ჯარების
ორივე ფლანგის თავის დავლა უნდაო..
მსმალოს თავი ჯარებს ისეი მდებია-
რება აქეთო, რომ იმათზე იერიშით
მისვლა ერთობ ძნელი იქნებაო. თი.
პარლმა დაჰპირდაო, რომ პარაბისის სი-
ახლოვეს ის გადიყვანს თავის ჯარებს
მდ. ღუნაიზე და უქნიდამ მოუვლის და
დაეცემა მსმალოს ჯარებს. პარაბისთან,
მდ. ღუნაიზე, ხიდის გადებას შეუდგნენ
კიდევ

— პლენვასთან საქმის შესახებ „ჰი-
ვასის სააგენტო“ შემდეგი ცნობები
მიიღო ლევიდან, 25-ს ივლისს: კარგათ
და მიუდგომლად რომ შევხედოთ საქ-
მის დავრწმუნდებიო, რომ პლენვასთან
დამარცხებას სრულებით არ ექნება რუ-
სეთისათვის ცული შედეგი. პლენვასთან
მოკვებით მსმალებს თავს გაუვიდათ
და სადმე გაშლილს ადგილზე რუსის
ჯართან შესახვედრათ გამოვიდნენ მიუ-

მე მარტო მაგითი ვარბენიერი, რომრკი-
ნის გზის სტანცია (აბაშა) აქვეა; ჩამოხ-
დებიან გზავერები, იკითხავენ, თუ სად
არი პატიოსანი ალაგი. მოასწავლიან
ჩემთან ღამის სათევათ. ამნაირათ ბევრი
ფიცრები, კაპიტნები, პარუჩიკები, პოდ-
პოლკოვნიკები“ (აქ კიდევ ჩინები ჩამო-
მითვალა) გავიცანი. ხო იცით კაცი კაცს
ყოველთვის მოხვედბა: სავაჭარაოს შკო-
ლას მეორე ნაირი დანიშნულებაც ჰქო-
ნია: იგი სასტუმროც არი... აქ გულშე-
მოყრილი, წამობრძანდით ს. საჭილაო-
შიდ; დაათვალთერეთ აქაური შკოლა-
ბული გაგინათლდებათ, წინათვე გახა-
რებთ. სასოფლო გზის მახლობლათ მშ-
ენიერ ვაკე, ვაკლნარით დასხვა ხეებით
დამშვენებულ ადგილზედ, ხის მშენიერი
დიდ ბალკონიანი საუცხოვო სახლები.
საშკოლე ზალა ვრცელი და მშენი-
რათ მორთული, მასწავლებლის ოთახე-

დგომელ სიმაგრეებიდამ, რუსები ამის
ძრიელ მადრიელნი უნდა ეყენებოდნენ.
გან ისინი, ორი წელიწადიც რომ მდგა-
რიყენენ მსმალოს ოთხ-ოთხს კუთხიე
ცისებებთან, მაინც ვერაფერს დააკლებ-
დნენ მათ. — მიმეორებ, რომ მსმან-
ფაშის კორპუსს ძრიელ ცული მომოვა-
ლი მოელის. რუსების მხრით პლენვაზე
იერიშით მისვლა ისე წინ-დაუხედავთ
იყო დაწყებული, რომ ორთავე გენერ-
ლების ჯარები, ერთი მეორეზე, შვიდი
ვერსის სიშორეზედ იყენენ დამორე-
ბულნი ასე, რომ ერთმა მეორის მოქ-
მედების არა იცოდა-რა. ბენ. შახოვსკის,
რომ იერში განვეგრძელებია, თავისის
პოლკები ზედი-ზედ მიჰყვანდა, უკანას-
ნელად სათადარიგო ჯარიც აღარ და-
უტოვებია და, როდესაც დაატყო, რომ
თითქმის ნახევრამდა ჯარი გაუწყვიტეს,
მეტი რა გზა იყო, დაიხიეს უკან. ბენ.
სკობლევის ყაზახები რუსების ჯარებს
სრულიდ დამარცხებისაგან იფარავდნენ,
რომელიც ძრიელ ადვილად მოხდებოდა,
რომ მსმან-ფაშა მიმხვდარიყო და ორს
კორპუსს შუა ჩამდგარიყო.

საქართველო

სიღნაღი, 27 ივლისს. „დროების“ რე-
მელსამე ნომერში ვინმე სიღნაღელი
აცხადებდა, ვითომც უ. სიღნაღის ლეს-
ნიხი დაეძებდეს იმ პირს, რომელმაც იმის
რამე ცული გამოაცხადა და ვერ ჰპოუ-
ლობდეს. მე ეს არა მჯერა, რომ უ.
ლესნიხმა ის გამოძებნოს და მერე იმ
საძებარმა თავი დაიფაროს, ამიტომ, რომ
ისეთს ვინ რას იტყვის ამითანა უფლებ-

ბი ჟურნალ-გაზეთებით და სხვა და სხვა
წიგნებით სავსე და სხ. თვითონ მასწავ-
ლებელი მშვიდი და წყნარი ხასიათების
ყმაწვილი კაცი, რომელსაც საზოგადოე-
ბა ეპყრობა ძმურათ, მეგობრულათ, თა-
ვაზიანათ; კითხვენ რჩევას ყველაფერში
და ერწმუნებიათ, როგორც კეთილის
მყოფს.

სამწუხაროთ, სწავლასზედ ვერას ვიტ-
ყვი, ის დრო არ იყო, რომ შავირდები
მენახა, ეკზამენები მოჩომილი იყო, თო-
რემ ამაზედაც იტყოდა კაცი ორიოდ
სიტყვას. უ. სავაჭარაოს მასწავლებელი
კი იკვების, რომ „როგორც იყო ორ
დღეზე ვასწავლე უჩენიკებს ღან-ბანიო.“,
მაგრამ ვერწმუნოთ და უწონოთ, თუ
არა,—ეს დარჩეს. მხოლოდ ვისურვებთ,
რომ ორ დღეზე მართლა ანბანს ასწავ-
ლის, ორ წელიწადს კითხვა ასწავლოს!

ზედ, რომ ის თქმული უსაფუძვლო და ცილით დაწამებული იყო. მაშასადამე, ყოველმა მართლის გამომთქმელმა თავის სახელი უნდა საქვეყნოთ გამოაცხადოს, როცა მას ძებნას დაუწყებენ, მარამ სიანს, რომ უ. ლენინის არ უძებნია, თორემ ძრიელ საჩქაროთ იბოვნიდა. მე მაინც ჩქარა მიპოვნის, თუ ინებებს, ამ კითხვის საპასუხოთ:

ყოველმა წოდების კაცმა იცის, რომ მთელი ჩვენი ქვეყნის დედა-მიწა, მთაში თუ ბარში, დაფარული ყოფილა უწინარეს ტყით და, რა ტყე გაუკაფია მათ და გაუწმენდიათ, დარჩომილან დღევანდელი სახნავ სათესი მიწები, რომელზედაც ხაზინა, თუ მებატონე დღეს იღებენ გლეხებისაგან ჯეროვანს გარდასახადს; ხოლო შექდვამ ლენინების დაწესებისა ყველას აღკრძალული აქვს გაკაფვა და განინდვრება ტყისა. მაშ, რა მიზეზით აძლევს უ. ლენინი ასის წლის წინათ გატეხილ ახლებს იჯარით, ისიც თავისის აბიესიკის პირითა და საბრალო მათ მქონებ გლეხებს უმიწოთ ავდებს?

მაშინ, როდესაც იჯარით გაცემა, ისიც საიჯარო მამულებისა, უნდა მოჰხდეს უმალღესის სამმართველოს განკარგულებით, მაზრის უფროსისაგან. ეს აბიესიკისაგან გაცემულის საიჯაროთ მიწების ქირა არის წარდგენილი ჯეროვანს ალაგას? რომ ართცერთი, სოფლის მცხოვრებთათვის მიცემულს ბილეთში (ტყისა) მე არ მინახამს მუხის ხის მოჭრის ნება მიცემული? მაშ, ვინ გადასჭრა ეს მომეტებული ნაწილი მუხის ტყე? მოიძიებდა ამ ტყეებში გამოსადეგი მუხის ხე? არა! ამიტომ, რომ სულ სანახევროთ აკეთებინებს აბიესიკი ყოველგვარ მუხის ძვირფას მასალას გლეხებსა და ამ გლეხებსავე თავიანთის ურმებით აზიდენებს შინა. ამას წინეთ უ. ლენინმა განკარგულება მოახდინა და სოფლის ყარაულები მოამატებინა—ვითომც უჩემოთ არავინ რა გაიტანოს ტყიდანაო და ან ცეცხლმა არ დასწვასო, მარამ ამ განკარგულებამ სხვა მიმართულება მიიღო. აბიესიკმა, რომელსაც ამ თანამდებობამდინ ვერვინ იცნობდა, უცებ შესანიშნავი პატივისცემა დაიმსახურა და ერთ დღეს მუქათათ ოც და ათამდინ გუთანი იშველია; აქ მოსული ყანა მუქათათე მოუშვეს და მოუტამეს ზასტავასთან ახლათ გამართულ კალოზედ, და აი, ყარაულებს რა დანიშნულება გამოუჩნდათ: ლეწვენ და ანიაგებენ და აბა იფიქრეთ ტყეებს ვინდა მოარჩენს დაწვისაგან.—ამიტომაც წლევეანდლის ტელა ტყეები სულაც არ დამწვარან.

ახლა იფიქრეთ ამ ტყეების მებატონენი, ჭაზინა და მებატონენი რაღას ჰფიქრობენ, როცა ჰხედამენ და ჰგონობენ, რომ ლენინობის პირველ დაწყობის წელიწადში, რაც შემოსავალი იყო, ეხლა იმის მეოცედიც აღარ შემოსულა და სულ აბეჭიკს შეუტამია. შეუტამია მისთვის, რომ თუმცა წინათმუქათათ მოგეულობდნენ ამ ალაგს, დღეს ოც თუმნობით ქრთამი ეხარჯებოთ, რადგან ერთი ნაირათ მოვლისთ. მაშ, რაღათა ჰხდინან ეს ბრმა-ყრუენი მებატონენი, მაინც არის, უღაო მამულების საღაოთა და თავიან ლუკმას სხვას უდებენ პირშია:—მარამ ჭამას რა არ შეუძლიან და აი უ. ლენინიც თავის აბეჭიკებიანათ ამ ჯობრით სარგებლობენ და ჩვენის უგრძობლობისათვის ჩვენვე გვაყურებიან.

დნაელი

თელავი, 1 აგვისტოს. როგორც ამას წინათ მოგახსენეთ, ჩვენ ტერტერებზედ, ისინი ისევ მკვიდრათ ინახამენ თავიანთ პარტიას, და ვგონებ კიდევ, რომ ისინი დაფიცულნიც არიან ჯვარ სახარებაზედ, რომ „უკეთუ ჩვენთაგან ერთი მოგვიკლან საქმის სწარმოებით, სხვადაც ნებით თავი დავაკლათო“..

ეს პარტია შესდგება ოთხი თავ განწირული ტერტერებისგან, ხოლოთ ერთი იმათგანი გაეყარა მათ, ჩვენი თვალსაფეროთ.

როცა ამათ წაიკითხეს თქვენს გაზეთში, ჩემი გლეხური შრომა, იმ წამსვე აიღეს მსხვილი ყავარჯნები და გაფეთებული მიძებენ, მაგრამ შენიმტერი... ისეთ ვიწრო და ყრუ ხეობაში ვარ დამალული, რომ თუნდა მთელი თელავი ტერტერებათ იქნენ, მაშინაც ვერ მოახწევენ ჩემამდინ, იმათი განიერი ანაფორის სახლები.

მაგრამ—რა აწუნებთ, მომატებულათ ამ სამ ტერტერებს? ზღვებული ანდაზა: „ნუ შახვალ ნუ ებანები, ნუ გამოხვალ ნუ თრთიო“. ნუ იქმონენ ცუდს და არავინ არას იტყვის. მე, თუნდა სადგისით დამჩხვლიტონ, რასაც თვალთ ვუყურებ უთქმელს არ გაუშვებ.

აი ეხლაც მოგახსენებთ ამ სამი ტერტერების მოქმედებას და ათასში ერთს, რასაკერელია.

პირველი ტერტერა ის გახლავთ, რომელმაც ამ გასულის 1876 წ. დეკემბრის 15-სა ერთს საწყალ 30 მან. გამოართო—ქალაქს წასაღებათ, და შემდეგ „ატკაზი“ უყო, ამის საჩივარი ჯერაც ასევე მომრიგებელ სასამართლოშია. ეს ის ტერტერა ასის, რომელმაც ოლქის სასამართლოში პალტო გააპარა. ისევე ეს ის გახლავთ, რომელმაც სიღნაღში ისეთი სამაგალითო საქმე მოახდინაო, რომ სიღნაღელები ღღესაც სხვირში ძმარს გვა-

წურენ, და ვერც ჩემი მოკლე კალამი შეიძლებას იმის მოხსენებას; ანუ ზნეობით სიღნაღელებს ჰკითხეთ „დო. მსჩხმ. მთგხსენებენ.“*)

მეორე ტერტერა ის გახლავთ, რომელმაც ამ მოკლე ხანში, ისე დაწლულთა თავისი ბერი დედა ცემით, რა ასო აღარ დარჩა დაუღურჯებელი; ტანისამოსი სულ ერთიანათ შაფხრიწა და თავის მამასაც (ესეც ტერტერაა), ერთი ორიოდე შეშა უთავაზა ბეჭებში და იქვე მიაწვინა, სიკვდილს დაახლოვებული. ეს ის ტერტერა არის, რომელიც ხშირათ ითვრება კახურით და ამისთვისაც ენაც ისე ხშირათ ებმება, რომ მრავალ ჯერ ლოცვას თავს ანებებს.

მესამე ტერტერა ის გახლავთ, რომელიც ყოველ გზივ ცდილობს ბლალოჩინის ზიანს; ძრიელ სურვილით უნდა ბლალოჩინობა, მაგრამ....

ამ ტერტერამ თავის ნებით სახელი გამოიცივალა და დაიწოდა „ჩაქუჩათ“ იმ აზრით. ვითომც ყველას თავში ჩაქუჩი ჩაარტყას, მაგრამ ვერ მოუხდა. პირველათ ის ჩაქუჩივე ისე ჩაარტყა თავში რომ ჯერაც ის წყლული არ მოარჩენია; ამას არა აქვს გაბედულობა, სხვათ შორის აშკარათ ლაპარაკსა, ეს დაფარულათ დადის მრეელში, და სხვა და სხვა ქადაგობით აღელვებს ხალხს ბლალოჩინზედ. ეს ტერტერა იმითაც არ შესანიშნავი, რომ უკეთუ ცოლმა გააჯაერა, მაშინვე გომურში დაამწყვდეს, ვიდრე ან მეზობლები ანუ ნათესავები არ უშველიან.

ეს გახლავთ ამათი მოქმედება. ლმერთმან ხომ კი იცის ათასში ერთი მოგახსენეთ. ზაგიტყდებით რომ, მე ამათზედ თქვენთან მოხსენებას არ მოვიშლი, ვიდრე ესენი თავიანთ პარტიას არ დაარღვევენ, მრეელში ცუდ ლაპარაკს და აღელვებას არ მოშლიან, ბლალოჩინზედ ურიგო განზრახვას არ მოჰსპობენ და ჩემ ძებნაზედ ხელს არ აიღებენ.

თელავის ყრუ-ხეობიდან შამოხიზნული გლეხი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

მენის ვაზეთების სიტყვებით, მითხად-ფაშა 2-ს აგვისტოს უნდა წასულიყო იქილამ პარიჟში. სერვეთ-ფაშა, ახალი მინისტრ უცხო ქვეყნებთ საქმეების, რომელიც პირად მტერად ითვლება მითხადისა, ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, როგორც „მელის ვაზეთი“ გვარწმუნებს,

*) სომეხი რახ იზამდა იმისთანას, რომ ვნით არ ითქმის, ან ბეჭდვით არ გამოცხადდება?

რომ ისარ იქნება მოწვეული სტამბოლში და დანიშნული ისევე უმთავრესს მენიხრათ.

— სულთანმა მადლობა მისწერა გენ. ძლავკას იმ დარიგებებისათვის, რომელნიც მან პორტას მისცა ამ ომის შესახებ. ამწიგნში სულთანი უცხადებს ძლავკას, რომ ის მზათ არის ყოველთვის დიდის ყმაყოფილებით მიჰყვეს იმის რჩევებს, თუ დარიგებებს.

— მითს დროს ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ სტამბოლში გულამ დღე არეულობას მოელოან იმის გამო, რადგან რუსების უკანასკნელ დროს ომის ველზედ გამარჯვება ერთობ აშინებდა მათ. სტამბოლში ვერავის ვერ დაარწმუნებდი, რომ რუსები განსაკუთრებით ბალკანის მისასვლელების დაკავების შემდეგ, სტამბოლშიაც მალე არ მოვიდოდნენ. ბევრი იხიზნებოდა სტამბოლიდამ და ამათ შორის თავათ სულთანის სასახლის დახიზნაზედაც იყო ლაპარაკი—ქალაქად, სადაც სულთანის სასახლე უნდა გარდევანათ, აარჩიეს ბრუსსი, მაგრამ სულთანის იქ ცხოვრება შეუძლებელად ჩანდა, რადგან ბრუსსში საძაგელი ჰაერი არისო. ეს მიზეზიც რომ არ ყოფილიყო, სულთანის სტამბოლიდამ ამნაირად გასვლას გარდაიხიზნა შეუძლებელი შეიქნა აი რა მიზეზით იმავე დროს სტამბოლში ხმა იყო გავრცელებული, რომ იქ აბდულ-აზი ფაშის შეიღს, იუზუფ-იზხედდინის სასარგებლოთ რევოლიუცია უნდა მოეხდინათ. ამ ხმამ სასახლის ყურამდინ რომ მიადწია, კი არ შეაშინა ის, არამედ უფრო გაამხნევა და გააბედდინა ისევე სტამბოლშივე დარჩენა; ამ დროს პლენვასთან ოსმალს გამარჯვებამაც მოაღწია და ამან ხომ უფრო ალტაცებაში მოიყვანა სულთანიც და მთელი სასახლეც.—ამ გამარჯვების ამბის შეტყობის შემდეგ სულთანმა შემდეგი წიგნი მისწერა ოსმან-შაშას:

„ჩემო ძვირფასო მუშირო ოსმან-შაშა! შენგან მამაცურის გამარჯვებით, ალამალღე სახელი ჩვენი არმიისა და დიდება ჩვენი სამშობლოსი! ასე გიძლოდეს ყოველთვის შენს საქმეებში ჩვენი დიდებული ალოანი, სალამს ვუძღვნი ყველა შტაბ აფიცრებს და სალდათებს, რომელნიც ჩემს შეილებათ მიმარჩნია; ისინი თავიანთი მამაცობით და გამბედაობით ახარებენ ჰალიშაჰს, ღმერთმან სრული გამარჯვება მიანიოსთ მათ ოსლამის დაცვაში. შენი სამსახურის ჯილდოთ გიგზავნი ოსმანიუს ორდენს და თან გიბრძანებ სახელდოვანათ და ღირსეულად დაჯილდოვო ის შტაბ და ობერ-აფიცრები, რომელნიც შენს დეპეშაში არიან მოხსენებულნი.—და მე თავად, დაბრუნებისათანავე დავაჯილდოებ მეომრებს იჩფეტხარის მენდლებითა. იანნი ღირსნი არიან ამ ჯილდოსი. ამასთან გიგზავნი სან-ოენის, რომელიც ჩემს გულითად მადლობას ვადმოგცემს.“

— იუზუფ-იზხედდინის სასარგებლოდ რევოლიუციაზე აი კიდევ რას ლაპარაკობენ: სხვათა შორის, ამ არეულობის მოთავედ ყოფილა სამასჯოს თავადის მეუღლე არისტარხი. საზაფხულოთ ს. პრინციპოში გასულს. იმას დაახლოვება ჰქონია იმისთანა პირებთან, რომელნიც ზოგი აშკარათ და ზოგიც მალულად თანაუგრძობდნენ რუსეთს, ამ ომის გამოცხადების მიზანს და საზოგადოთ მთელი რუსეთის პოლიტიკას „აღმოსავლეთის კითხვის“ გარდაწყვეტაში. ეს პირები, რომ ოსმალელები უფრო ალღელებით და მათსა და მმართველობას შუა უყმაყოფილება ჩამოეგდოთ, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდნენ ამისათვის; სხვათა შორის, ყოველთვის როდესაც ოსმალს მხრით გამარჯვების

ამბავი მოვიდოდა, ესენი ჩაღწევი ხმებს ავრცელებდნენ, რომ მმართველობა სულთნისთვის ამბობს, სულთნისთვის ავრცელებს, რომ მოიგოს ხალხის გული და სხვ. ეს მანდილოხანი სამშობლოს ამ გვარი ღალატისათვის, გაისტუმრეს ოსმალს სახელმწიფოდამ. თან მისი თანამოაზრენიც დააყოლეს.

განცხადებანი

ინსპექცია საყმაფვილო ბაღისა და მასთან ერთად პირველ დაწყებითი სკოლის უკოლისა უწინ ქაბას მეუღლისა) ამით აცხადებს, რომ ორთავეს ქისა ხალხოსნობის გაურჩევლად ყმაწვილების მიღება დაწყება ამწლის 20-ს აგვისტოდამ.

იმ ყმაწვილების მშობლები, რომელთაც აქამდისინ თავიანთი შეილები შაბას მეუღლესთან ჰვედათ, თუ რომ მოისურვებენ შეუძლიანთ ამ 20-ს აგვისტოდამ ხელახლავ დასწერონ თავიანთი შეილების სახელი და გვარი საყმაფვილო ბაღის და მასთან პირველი დაწყებითი სკოლის უკოლის სიაშიდ.

საყმაწვილო ბაღი და პირველ დაწყებით სწავლის უკოლა 1-ს სექტემბრიდამ გადადის ველიამოვის ქუჩაზე, თ. ნაპალეონ ამატუნის სახლების ქვეიდა ეტაქაში.

მისაც ჰსურთ ვიბარონ თავიანთი შეილები, ინსპექტორი თხოულობს 1-ს ოკტომბრამდინ მიმართონ—კერძორეარილი სასწავ. მქონ უ. თავაკალოვთან, სასწავლებლის სადგომზე, რომელიც იმყოფება სადოვის ქუჩაზე, უ. შადინოვის სახლებში, ხოლო ეს სექტემბრიდამ პირ და პირ საყმაწვილო ბაღის და პირველ დაწყებითი სწავლის უკოლის ინსპექციას თ. ამატუნის სახლებში. (3-1)

რ.პ.	ზ.ზ.ა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაყანდა	მან. კაპ.
თფილისი	9 21	5 18				მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 2 აგვისტოს		თფილისი, 7 აგვისტოს	
მცხეთა	10 11	6 27				მუთისს, შოთს	1	მრთი პანეთი ღირს:		შქვ. თეთ. მანჯისა, ფო.	1 20
ბორი	11 58	9 43		2 68	3 38	ზორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი.	1
ხაშური	1 29	11 57		3 40	1 23	როსტოვს, მდგახს, მოსკოვს	2	პარიჟში 260 სანტიმი.	81	ქერი ფუთი.	70
სურამი	1 44			4 92	2 18	პეტერბურგს, მარშავს	2	მსკონტი(სარგებლისფასი)	71	ბამბა მრეწვისა, ფუთი	7
ქვირილა	5 49			5 42	2 46	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი	8 50
რიონი	6 47			6 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მოგებიანი(პირველისფსი)	206 50	ბავენტლი ბამბა ფო.	7 80
სამტრედია	7 41			7 75	3 75	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	206 75	მატყელი თუშური ფო.	6
ა.სენაკი				8 57	4 76	უოზა		ზირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფო.	3 80
შოთი	9 40			9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა, ზუგდ. ორშ. და სამშ.		თფილ. სააზნ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 20
შოთი	9 13					მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—ორშ. და პარასკ.		ხერსონის ბანკის (5%)	83	ქონი, ფუთი.	5 50
ა.სენაკი				1 18	6 66	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—ორშ. და პარასკ.		მოსკოვის (5%)	90 50	ქონის სანთელი ფუთი.	6 20
სამტრედია	11 16			2 61	1 14	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		აქციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	12
რიონი	12 13			3 41	6 9	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მდგისის სავაჭრო ბანკის	158	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
ქვირილა	1 18			3 98	2 21	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვისა, ლიტრაა	54
სურამი	5 12			5 33	2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	5 39			1 37	5 84	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ქაქაზის და მერკურის.	203	შაქარი, ბროც. ფუთი	7 80
ბორი	7 5			4 87	3 6 4 9	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		პირგ. საზღვევ. საზოგ.	735 50	— ფხვნილი ფუთი	7 50
მცხეთა	8 50			6 59	9 8 5 4	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	ქაქა გრვალის, ფუთი	25
თფილისი	9 31			7 56	9 7 5 5 42	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	შეთი ქუჩაქუთისა ფუთ.	9